

თემა 9

გერმანიაში ლინგვისტური აზროვნების, ენის ფილოსოფიის ჩამოყალიბება

9.1. ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის ლინგვისტური სისტემის თავისებურებანი

ისტორიულ-შედარებითი კვლევის /როგორც მონათესავე, ისევე არამონათესავე ენების/ ფართო და ღრმად გააზრებული პროგრამა დაგვიტოვა ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტმა /1767-1835/, რომელიც ზოგადი ენათმცნიერების და ენის ფილოლოგიის აღიარებული დამაარსებელია.

ჰუმბოლდტი, მრავალმხრივი და ბრწყინვალე განათლების ადამიანი, მოღვაწეობდა ფილოსოფიის, ლიტერატურათმცოდნეობის, კლასიკური ფილოლოგიის და სახელმწიფო სამართლის დარგებში. იგი იყო ლინგვისტი, დიპლომატი და გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, გოეთესა და შილერის მეგობარი, ბერლინის უნივერსიტეტის დამაარსებელი. მან იცოდა მრავალი ენა, მათ შორის ბასკური, სანსკრიტი, ჩინური, იაპონური, ამერიკელი ინდიელებისა და მალაურ-პოლინეზიური ენები, ინდოევროპული ენები, რამაც დიდი როლი ითამაშა მისი, როგორც ლინგვისტის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ჰუმბოლდტის ნაშრომი “Über die Verschiedenheit des menschlichen Sprachbaues und ihren Einfluss auf die geistige Entwicklung des Menschengeschlechts” წარმოადგენს მხოლოდ შესავალს მისი სამტომეული ნაშრომისა “Die Sprachen Kavis aus den Inseln Java”

.ამ ნაშრომში წამოყენებულია ენის მიმართების პრობლემა ხალხის კულტურის, ზნე-ჩვეულებების და საერთოდ, არსებული სინამდვილისადმი. ჰუმბოლდტის აზრით, ადამიანის დამოკიდებულება არსებული სინამდვილისადმი, ამ სინამდვილის აღქმა მთლიანად განპირობებულია ენით. მისი აზრით, ენა არის ისეთი ფენომენი /განსაკუთრებული მოვლენა/, რომელიც მოთავსებულია ადამიანსა და გარე სამყაროს შორის. ჰუმბოლდტი ამბობს: “ენა ის მედიუმია, /შუამავალია/, რომელიც ადამიანსა და ობიექტურ სინამდვილეს შორის არსებობს”. ამდენად, ენას გააჩნია უდიდესი გავლენა ხალხის მიერ ობიექტური სინამდვილის აღქმაზე. ჰუმბოლდტის აზრით, ენის საშუალებით შეიძლება ხალხის ხასიათისა და გონის გაგება. ენის საშუალებითვე შეიძლება შევადგინოთ არა მხოლოდ ხალხის აზროვნებასა და ფსიქიკაში, არამედ შევიმეცნოთ ხალხის კულტურაც. ხალხის გონის /*Völkergeist*/ ცნების ქვეშ ჰუმბოლდტს ესმის ამა თუ იმ ხალხის მიერ შექმნილი ინტელექტუალურ ღირებულებათა კომპლექსისა და ხალხის სულიერი კულტურის ერთობლიობა /ანუ

ხალხის აზრები და გრძნობები/, რაც აირეკლება ენაში და გამოიხატება ენით. და „რადგან ყოველი ხალხის ენაში მოქმედებს ერთგვაროვანი სუბიექტური საწყისი, აღმოჩნდება რომ თითოეულ, ცალკეულ ენაში არის საკუთარი მსოფლხედვა.“

უნდა აღვნიშნოთ, რომ მსოფლხედვა წარმოადგენს ენობრივი მნიშვნელობების სფეროს/ და სიტყვა “მსოფლხედვა“- Weltansicht (არ უნდა ავურიოთ სიტყვაში მსოფლმხედვლობა- Weltanschauung, როგორც არის მაგალითად ქრისტიანული, ფილოსოფიური, ევროპული, სოციალუსტური და ა.შ.).

ჰუმბოლდტის აზრით, ენაში ფიქსირებულია გარკვეული მსოფლხედვა, რომელიც ასახავს ხალხის სულიერ ან გონით თვისებებს – იმ ხალხისა, რომელიც ამ ენის მატარებელია.

თუ ბერა ადამიანსა და საგანს შორის დგას, მაშინ მთლიანობაში ენა ძვეს ადამიანსა და მასზე შინაგანად და გარეგანად ზემოქმედ ბუნებას შორის. ჰუმბოლდტი წერს: “ადამიანი გარს შემოირტყამს ბერათა სამყაროს, რათა აღიქვას და აითვისოს საგანთა სამყარო. ეს მდგომარეობა არავითარ შემთხვევაში არ სცილდება აშკარა ჭეშმარიტების ფარგლებს.” რამდენადაც ადამიანის აღქმა დამოკიდებულია მის წარმოდგენებზე, იმდენადვე მისი მიმართება საგნებთან განპირობებულია ენით: იმავე აქტით, რითაც ადამიანი “ქმნის” ენას /ე.ი. მეტყველებას/, იგი ეძლევა იმ ენის ძალაუფლებას, რომელზედაც იგი მეტყველებს.

ამრიგად, “ყოველი ენა შემოხაზავს წრეს იმ ხალხის გარშემო, რომელსაც იგი ეკუთვნის, წრეს, რომლის ფარგლებს გარეთ გასვლა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ სხვა წრეში შეხვალ.” სხვანაირად რომ ვთქვათ, ენა ადამიანსა და გარე სამყაროს შორის არის და ყოველ ადამიანს უყალიბებს სამყაროს ისეთ ხატს ანუ სურათს /დას გეისტივე ბილდ დერ ჭელტ/, რომელიც შეესაბამება ამ ენაში ფიქსირებულ მსოფლხედვას, ამიტომ მეორე ენაზე გადასვლა ნიშნავს მსოფლხედვის შეცვლას.

ჰუმბოლდტი ნაციონალური ენის თავისებურებებს ეძიებს არა ენის ისტორიული განვითარების სპეციფიკაში, არამედ ენის გონითი საწყისის /მსოფლხედვის/ თავისებურებაში, ნაციონალური ინდივიდუალობის თავისებურებებში, რომელიც არეკლავს /გამოხატავს/ ხალხის ნაციონალურ სულიერ ანუ გონით საწყისს, მის ინტელექტს, მის ფსიქიკას.

9.2. ენერგეისტული მიდგომა ენისადმი

ჰუმბოლდტისათვის დამახასიათებელია დიალექტიკური აზროვნება. იგი ერთდროულად ენას აღიქვამს, როგორც რაღაც სტაბილურს, მდგრადს ანუ როგორც პროდუქტს, რეზულტატს /ერგონ/ და ამავე დროს როგორც ყოველ მომენტში წარმავალს, როგორც ქმედითს ანუ აქტივობას /ენერგეია/. ჰუმბოლდტი მრავალჯერ იმეორებს: ენის არსებობის ფორმა არის მისი უწყვეტი განვითარება ანუ აქტივობა, რომელიც ბგერას გამოახატვინებს აზრს.

ჰუმბოლდტისათვის დამახასიათებელია ენისადმი ე.წ. ენერგეისტული მიდგომა, რომელიც ეწინააღმდეგება ენისადმი “ნომენკლატურულ” მიდგომას. /ნომენკლატურა ნიშნავს: ტერმინთა ჩამონათვალს, რომელიც შეესაბამება საგანთა რაოდენობას/. ჰუმბოლდტი თვლის, რომ ენაში უნდა ხდებოდეს საგანთა აგების ისეთი პროცესები, რომლებიც ენობრივია და არა საგნობრივი. სახელდებითი პროცესის დროს / ე.ი. ნომინაციის პროცესში სიტყვა არ წარმოადგენს საგანს, სიტყვა არ არის საგნის უშუალო წარმომადგენელი, არამედ სიტყვა არის ჩვენი საკუთარი საგანთხედვის წარმომადგენელი/. ამ თეორიაზე დაყრდნობით ჰუმბოლდტი აცალკავებს სამეტყველო ქმედებაში /Sprachtätigkeit/ ენასა და მეტყველებას. იგი მეტყველებას /როგორც ენერგეია-ს, როგორც აქტივობას/ უპირისპირებს ენას, როგორც ერგონ-ს, ე.ი. როგორც აქტივობის რეზულტატს, როგორც პროდუქტს. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ ჰუმბოლდტმა პირველმა ენათმეცნიერებაში დააყენა საკითხი ენისა და მეტყველების გამიჯვნისა და მათი ურთიერთმიმართების შესახებ. ჰუმბოლდტამდე არავის ფილოსოფოსებიდან, ფილოლოგებიდან, ენათმეცნიერთაგან არ უცდია გაემიჯნა ენა და მეტყველება. ეს აიხსნებოდა იმით, რომ ანტიკური პერიოდიდან XIX-მდე ენათა შესწავლის ძირითად ობიექტს წარმოადგენდა მკვდარი ენები /სანსკრიტი და ლათინური/. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ენისა და მეტყველების გამიჯვნის საკითხი არ დამდგარა. ჰუმბოლდტი ენათმეცნიერთაგან პირველი იკვლევდა ცოცხალ ენებს, რომელთა მეცნიერულმა შესწავლამ ის მიიყვანა იმ აზრამდე, რომ “ენა, როგორც ცოცხალი მეტყველების მიერ ნაწარმოები მასა /ანუ რეზულტატი, ანუ ერგონი/ არ უდრის ხალხის მეტყველების პროცესს /ანუ ენერგეიას/. ჰუმბოლდტმა პირველმა წამოაყენა თეზისი ცოცხალი, ხალხური მეტყველების ნორმების შესწავლის აუცილებლობის შესახებ, რამაც უზარმაზარი როლი ითამაშა ენათმეცნიერების განვითარებაში. ერთის მხრივ, ამან მისცა სტიმული ცოცხალი ენების დიალექტებისა და ე.ი. ალექტოლოგიის და არეალური ლინგვისტიკის ანუ ლინგვისტური გეოგრაფიის განვითარებას, მეორეს მხრივ კი

ხელი შეუწყო ენის, როგორც აბსტრაქტული სისტემის კვლევის დაწყებას, სისტემისა, რომელიც გარკვეული კანონების მიხედვით არის ორგანიზებული.

9.3. ჰუმბოლდტის ანტინომიები

ადგილისა და დროის ეკონომიის მიზნით, ახლა შევეცადოთ შევაჯამოთ ანტინომიების სახით – ერთმანეთის საწინააღმდეგო /ოპოზიციური/, მაგრამ ენისთვის ორგანულად /შინაგანად/ დამახასიათებელი თვისებები აღმოჩენილი ჰუმბოლდტის მიერ.

1. ენისა და აზროვნების განუყოფელი ერთიანობა და დაპირისპირება. ერთის მხრივ, ენა წარმოადგენს მუდმივ ქმედებას, რათა დანაწევრებული მეტყველება გადააქციოს აზროვნების იარაღად. მეორეს მხრივ კი, აზროვნება ცდილობს განთავისუფლდეს ენის ბორკილებიდან.

ჰუმბოლდტი წერს: ენა არის აზრის წარმოქმნის იარაღი: ენის გარეშე შეუძლებელია ცნებების წარმოქმნა. ენაში ორმაგი ერთიანობაა ბგერისა და ცნებისა. ყოველი სიტყვა წარმოადგენს ცნების ნიშანს. სიტყვებსა და ცნებებს შორის ყოველთვის არსებობს ურთიერთშესაბამისობა, მაგრამ ამავე დროს ჰუმბოლდტი ამბობს: ადამიანის გონი მუდამ ისწრაფის განთავისუფლდეს ენის ბორკილებისაგან, რადგან სიტყვები ავიწროებენ შინაგან გრძნობებს, რომელიც ყოველთვის უფრო სრული და მდიდარია ვიდრე მათი /სიტყვები/ შინაარსი. მაგრამ სწორედ ამ დაპირისპირებული ტენდენციის წყალობით ენა მდიდრდება გამოხატვის სულ უფრო ზუსტი და შესატყვისი საშუალებებით.

2. ენა როგორც ქმედება, აქტივობა და როგორც პროდუქტი. ენა იმდენად წარმოადგენს აქტივობას, რამდენადაც პროდუქტს. ერთის მხრივ, ინდივიდი მუდმივად ქმედების პროცესშია. მეორეს მხრივ, ენა წარმოადგენს წინა თაობების ენობრივი აქტივობის /მეტყველების/ პროდუქტს, ნაწარმოებ მასას, ე.ი. ენა ამა თუ იმ ადამიანური კოლექტივის მონაპოვარია.

მაშ, ენა არა მხოლოდ ის არის, რაც მოცემულ მომენტში იქმნება, ენა მხოლოდ ენერგიას არ წარმოადგენს, არამედ ისიც არის, რაც ნაწარმოებია, შექმნილი პროდუქტია.

3. მეტყველება და ენა. ეს ანტინომია მჭიდროდაა დაკავშირებული ენის, როგორც ქმედების და ენის, როგორც რეზულტატის /პროდუქციის/ წინა ანტინომიასთან.

ჰუმბოლდტი წერს: ენა როგორც მთელი ცოცხალი მეტყველების მიერ ნაწარმოები მასა ან პროდუქტი და თვით მეტყველების პროცესი /რომელსაც აწარმოებს ხალხი/ ერთი და იგივე არ არის.

4. ობიექტური და სუბიექტური ენაში. ენა ობიექტურია და იმავე დროს სუბიექტურიც. ენა ინდივიდისათვის ერთსა და იმავე დროს მშობლიურაც არის და უცხოც, დამოუკიდებელიც არის მისგან და დამოკიდებულიც. ერთის მხრივ, ინდივიდი აღიქვამს ენას ისე, როგორც იგი ტრადიციულად, მემკვიდრეობით არის დატოვებული. მეორეს მხრივ კი ინდივიდი მუდმივად ხელახლა ქმნის ანუ აღადგენს /გამოიყენებს/ ენას, ენის ფორმებს, რადგან ინდივიდის მეტყველების ყოველ აქტში ცოცხლდება ენის ფორმები: “ამაში მდგომარეობს ენის ერთერთი თავისებურება და ეს დაპირისპირება არ საჭიროებს მოხსნას. ენა იმდენადვე არის დამოუკიდებული, რამდენადაც დამოკიდებულია სუბიექტისაგან” /რამდენადაც ენა მეტყველების პროცესში კვლავ იწარმოება სუბიექტის მიერ/.

5. კოლექტიური და ინდივიდუალური ენაში. ჰუმბოლდტი ამბობს: “ენა შეიძლება ჩაითვალოს საერთო ქმნილებად, ე.ი. ხალხთა ენათქმედების პროდუქტად და ამავე დროს ენები წარმოადგენენ ცალკეულ პირთა ქმნილებებს, რადგან ენის გაცოცხლება, მისი ფორმების აღდგენა ხდება მხოლოდ ცალკეულ პირთა მეტყველების პროცესში.” მეტყველებენ მხოლოდ ცალკეული ინდივიდები და ამ მხრივ, ენა ინდივიდთა ნაწარმოებია, ქმნილებაა, მაგრამ ამავე დროს ჰუმბოლდტი აღნიშნავს, რომ “ხალხთა ქმნილებანი წინ უსწრებს ცალკეულ პირთა ქმნილებებს.” ენა, როგორც ინდივიდთა ქმედება გულისხმობს ყოველ წუთს, როგორც მოსაუბრეს, ასევე მსმენელს /გამგები/, ხოლო მოსაუბრე და მსმენელი /გამგები/ განაპირობებს მთელ მეტყველ კოლექტივს.

ამრიგად, ენა იქმნება ადამიანთა საზოგადოების ყველა წევრის ერთდროული ინდივიდუალური სამეტყველო ქმედებიდან.

“ენები, რომელთაც ყოველთვის აქვთ ნაციონალური ფორმა, შეიძლება წარმოადგენდნენ მხოლოდ ხალხთა უშუალო ქმნილებებს.”

6. აუცილებლობა და თავისუფლება ენაში. ენის ტრადიცია განაპირობებს ყოველი მოცემული თაობის და ყოველი ცალკეული პირის ენობრივ ქმედებას. მიუხედავად ამისა, ყოველი ცალკეული პირი და ცალკეული თაობა მთლიანობაში ინდივიდუალურ და კოლექტიურ ენათქმედების პროცესში განუწყვეტლივ გავლენას ახდენს ენაზე და შეაქვს მასში ახლის ელემენტები, რომლებიც განსხვავდება იმისგან, რაც წინა თაობების მიერ მემკვიდრეობით იყო დატოვებული. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ

ორმაგ კავშირს ენის შემზღუდავ ტრადიციას, ერთი მხრივ, და საზოგადოების გავლენას, მეორე მხრივ.

7. ენობრივი ნიშნის ნებისმიერობა და ენის ელემენტების მოტივირებულობა. ის აზრი, თითქოს ენა აღნიშნავს თვით საგნებს, რომლებსაც ჩვენ ვხედავთ, მცდარია. ზგერა თავისი ინდივიდუალობის თვისებით მხოლოდ მიუთითებს საგანზე. ჰუმბოლდტი წერს: “ზგერა და ცნება სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი ბუნებით.” სახელდების დროს, სიტყვა არის ჩვენი საგანთხედვის წარმომადგენელი: “ჩვენს ცნობიერებაში საგნით გამოწვეული ხატის ანაბეჭდია“, ანუ საგნის წარმომადგენელია, საგნის ნიშანია.

აქ არის სწორედ ერთი და იმავე საგნის გამოხატვის მრავალფეროვნების სათავე. მაგ: სანსკრიტში სპილოს უწოდებენ ორმაგად მსმელს, ორკბილოვანს ან ხელით აღჭურვილს. ყოველი ამ დასახელებათაგანი, ალბათ, შეიცავს განსაკუთრებულ ცნებას, თუმცა ყველა ეს დასახელებები აღნიშნავენ ერთსა და იმავე საგანს. ამიტომ ენა არის არა საგნების, არამედ ყოველთვის ცნებების წარმომადგენელი საგნების შესახებ; იმ ცნებებისა, რომლებიც დამოუკიდებლად იქმნებიან სიტყვის წარმოთქმასთან ერთად.

ამა თუ იმ კონკრეტულ სახელთა ბუნება უმეტესად აუხსნელი რჩება. ჰუმბოლდტი წერს: “რაც ისტორიას ახსოვს, ადამიანი ენას აგებდა ყოველთვის უკვე მოცემულ საფუძველზე და არ გადიოდა ანალოგიის ფარგლებს გარეთ. ის სახეს უცვლიდა ხმარებაში სიტყვებს, მაგრამ არ გამოიგონებდა მათ. ენის ჭეშმარიტი განვითარება ხდება ნელ-ნელა, თანდათანობით და ყოველი ახალი მოვლენა იქმნება ანალოგიურად /უწინ/ არსებული ნიმუშის მიხედვით.”

არტიკულირებული /დანაწევრებული/ ზგერის არსი მდგომარეობს მის დანიშნულებასა და უნარში გამოხატოს მნიშვნელობა, ხოლო დანაწევრებულ ზგერათა რიცხვი და მათი ურთიერთდამოკიდებულება განისაზღვრება ენის სისტემის თავისებურებებით.

8. მდგრადობა, სტაბილურობა და მოძრაობა ენაში. ენა მუდმივად კი იცვლება, მაგრამ ამავე დროს იგი არაჩვეულებრივად სტაბილურია. “ენის ფორმირებული /ჩამოყალიბებული/ ელემენტები წარმოადგენს თავისებურად მკვდარ მასას, მაგრამ ამავე დროს ენა შეიცავს დაუსრულებელი ელემენტების ცოცხალ ჩანასახს.” თუ ყოველი ადამიანი და ცალ-ცალკე განუწყვეტლივ მოქმედებს ადამიანზე, მაშინ ყოველი თაობა თუნდაც ვერ შეცვლის მოცემული ენის სიტყვებს და ფორმებს, აუცილებლად სახეს უცვლის მათ გამოყენებაში. ამრიგად, თავისი ჭეშმარიტი არსით

ენა არის რაღაც მუდმივი და ამასთანავე ყოველ მოცემულ მომენტში ცვალებადი /სახეცვლილების უნარის მქონე/.

9. მეტყველება და გაგებინება წარმოადგენს თვით მეტყველების პროცესის სხვადასხვა გამოვლენას. ჰუმბოლდტი ამბობს, რომ მხოლოდ ცალკეული პიროვნების სიტყვები იღებენ საბოლოო განსაზღვრულობას.

ცოცხალ მეტყველებაში არავინ აღიქვამს სიტყვებს აბსოლუტურად, ე.ი. სრულიად ერთი და იმავე აზრით, ამიტომ ჰუმბოლდტის აზრით, ურთიერთგაგებინება და აზრებსა და გრძნობებში თანხმობა ამავე დროს უთანხმოებას და გაუგებრობას წარმოადგენს. მაგრამ აზრთა ურთიერთშეტყობინება /კომუნიკაცია/, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ მეტყველებისა და გაგებინების საშუალებით, წარმოადგენს აზრის ობიექტივაციის საუკეთესო საშუალებას.

10. ენის რაციონალური ხასიათი და მისი სრული აღწერის შეუძლებლობა. ჰუმბოლდტი მიუთითებს ენის რაციონალურ ხასიათზე, მაგრამ ამავე დროს იგი თავისი მსჯელობის მთელი მსვლელობით ფაქტიურად იმეორებს, რომ “ენის სრული და ზუსტი აღწერა რომელიც გაითვალისწინებდა ენის გენეზისს /წარმოშობას/, მიუღწეველია, უპირველეს ყოვლისა, თვით ენის როგორც ფენომენის არაჩვეულებრივი სირთულის და აგრეთვე ენისა და აზროვნების კავშირის სირთულის გამო. “იმ სირთულისა, რომელიც ჩვენი ცნობიერების ძალას აღემატება? მეორეს მხრივ, ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენ შევიმეცნებთ ენობრივი განვითარების მხოლოდ თანამედროვეობით /სინქრონია/ და ისტორიულ, წარსულით /დიაქრონია/ შემოფარგლულ ნაწილს, რომლის საწყისები ჩვენი დროით არის დაფარული.

ჩვენ განვიხილეთ მხოლოდ შესავალი სამტომიანი ნაშრომისა “კავის ენის შესახებ იავის კუნძულებზე”- 1936-1940წწ. ეს დებულებები მხოლოდ ნაწილია პრობლემათა იმ უზარმაზარი კომპლექსისა, რომელიც წამოაყენა ჰუმბოლდტმა ამ ნაშრომის შესავალში. მის მიერ გამოთქმულია ისეთი საინტერესო აზრები, რომლებსაც გვერდს ვერ აუხვევს ვერცერთი ენათმეცნიერი /თუმცა თავის თაობაზე მას დიდი გავლენა არ მოუხდენია/. გაზვიადების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ნეოგრამატიკოსთა სკოლის გარდა მთელი მომდევნო მიმდინარეობები თეორიულ ენათმეცნიერებაში დღემდე ასე თუ ისე ვიღვებულ ფონ ჰუმბოლდტის ლინგვისტური სისტემის გავლენის ქვეშაა მოქცეული.

ჰუმბოლდტის ნაშრომების გარჩევასა საჭიროა გვახსოვდეს, რომ ის იყო დიდ ფილოსოფოსი ენათმეცნიერებაში, ზოგადი /თეორიული/ ენათმეცნიერების და ენის ფილოსოფიის ფუძემდებელი. მისი ლინგვისტური სისტემა წარმოადგენს

ენათმეცნიერების განვითარების ამოსავალ წერტილს. ქრონოლოგიურად ჰუმბოლდტის შემოქმედება ემთხვევა შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების პერიოდს, მაგრამ მან თავის ნაშრომებში იწინასწარმეტყველა ბევრად უფრო გვიანდელი პერიოდის ენათმეცნიერების პრობლემები, მიუხედავად იმისა, რომ მან ვერ გადაჭრა ყველა პრობლემა, რომლებიც თვითონვე წამოაყენა და ვერ უპასუხა კითხვებს, რომლებსაც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში უსვამდა თავის თავს, მან მიაწოდა გენიალური იდეები თეორიულ ენათმეცნიერების ყველა სფეროს, იდეები, რომლებმაც ბიძგი მისცეს XIX-XXსს-ების ენათმეცნიერებისა და ენის ფილოსოფიის განვითარებას და ხელი შეუწყეს ზოგიერთი მეტად რთული და მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას.

9.4. ენის წარმოშობის პრობლემა ჰუმბოლდტის ლინგვისტურ სისტემაში

ჰუმბოლდტმა ააგო თეორია ენის შინა ფორმის შესახებ, რომელშიც ფიქსირებულია ნაციონალური მსოფლხედვის თავისებურებები, და სიტყვის შინა ფორმის შესახებ, რომელშიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოიხატება ბგერითი ფორმისა და ცნებისა და ცნების კავშირის ის თავისებურებები, მათი შეერთების ის ხერხები, რომლებიც სპეციფიკურია ყოველი ცალკეული ენისათვის. ჰუმბოლდტის აზრით, ყოველ ნაციონალურ ენას გააჩნია თავისი შინა ფორმა და როგორც არ უნდა იცვლებოდეს ენა /როგორც მეტყველება/ რაღაც გარე ფაქტორების გავლენით, ენის შინა ფორმა /როგორც მისი სისტემა/, რომელიც არეკლავს ხალხის ნაციონალურ გონს, რჩება უცვლელი.

სწორედ სხვადასხვა ენების შინა ფორმების შესწავლის გზით, ცნების ბგერით გამოხატვის სხვადასხვა ხერხების შესწავლის გზით, ვილჰელმ ჰუმბოლდტი ფიქრობდა, გადაეჭრა ჩვენს დროშიც ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემა ადამიანის ენის წარმოშობის შესახებ.

როგორ შექმნა კაცობრიობამ ენა? ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ საშუალებად ჰუმბოლდტს მიაჩნდა სხვადასხვა ენების ფართე შეპირისპირება, ყოველი ცალკეული ენის გულდასმით შესწავლა მათში განსხვავებულობის დადგენის მიზნით.

ჰუმბოლდტის აზრით, მხოლოდ ფორმა წყვეტს, თუ რომელ შტოს მიეკუთვნება ესა თუ ის ენა გენეტიკურად /თავისი წარმოშობის შესახებ/. მისი აზრით, ყველა ენის ფორმები ბოლოსდაბოლოს შეიძლება დაიყვანებოდეს ერთ ზოგად ფორმამდე, თუ მხედველობაში მივიღებთ მათ ყველაზე უფრო ზოგად ნიშნებს:

1. აზროვნების მოთხოვნილებები;

2. ენის ზოგადი კანონები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ნაციონალური განსხვავებულობისგან. ნაციონალური სპეციფიკით განპირობებულია ის, თუ როგორი ხერხებით ხდება აზროვნების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და ზოგადი კანონების რეალიზაცია ამა თუ იმ კონკრეტულ ენაში.

ენის წარმოშობას ჰუმბოლდტი უკავშირებს ორ ფაქტორს: გარე მოთხოვნილებას /კომუნიკაციის, ურთიერთგაგებინების, აზრთა გაცვლა-გამოცვლის მოთხოვნილება/ და შიდა “მოთხოვნილებას” – როგორც ერის ინტელექტუალური და სულიერი ცხოვრების ყოველმხრივი განვითარების აუცილებელ პირობას. ჰუმბოლდტი წერს: “გამოცდილებიდან ჩვენ არაფერი ვიცით ენათა შექმნის შესახებ: ისტორიაში არაფერია ამის /ენის წარმოშობის/ მსგავსი, რომ შეიძლებოდეს ანალოგიის მიხედვით მსჯელობა: თუ ჩვენ ვლაპარაკობთ “პირველყოფილ ენებზე” ისინი პირველყოფილია იმდენად, რამდენადაც ჩვენ არაფერი ვიცით მათ შემადგენელ ნაწილებზე, რომლებიც კიდევ უფრო ადრინდელია, პირველსაწყისია.” ჰუმბოლდტი თვლის, რომ ენა /როგორც მეტყველების უნარი/ წარმოიშვა ერთბაშად და მისი ყოფის ანუ არსებობის ყოველ მომენტში მისთვის დამახასიათებელია ის, რაც ენას /როგორც სისტემას/ ერთ მთლიანობად წარმოგვიდგენს. აზროვნების, სამეტყველო და სმენის ორგანოების კავშირი /რეალიზებული ენაში/ ეყრდნობა ადამიანის პირველსაწყის ბუნებას /ის, რაც ადამიანს როგორც ჰომო საპიენს-ს განასხვავებს სხვა არსებისაგან/, რომელიც აუხსნელია თავის საფუძველში.

მეცნიერება ჯერაც ვერ გვაწვდის რაიმე ცნობებს ენის საწყისი ფორმების შესახებ, ამიტომ ეს საკითხი ჰიპოთეზების სფეროში რჩება.

ჰუმბოლდტის ნაშრომში მოცემულია აგრეთვე ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია 4 ტიპად: 1. ამორფული /ანუ ძირისეული/, 2. პოლისინთეზური, 3. აგლუტინაციური და 4. ფლექსიური, რომელთაგანაც იგი ფლექსიურ ტიპს განიხილავდა როგორც სინთეზს და ადამიანის გონითი შემოქმედების უმაღლეს გამოხატულებად მიიჩნევდა, ხოლო აგლუტინაციურსა და ამორფულს იგი მიიჩნევდა უფრო დაბალი განვითარების მქონე ენებად, მაგრამ აღნიშნავდა მათ შედარებით დადებით მხარეებსაც – მას მიაჩნდა, რომ ყოველი ენა არის კარგი, თუ ის ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის კომუნიკაციის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს.

9.5. სტრუქტურის ცნება ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის ლინგვისტურ სისტემაში

ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი თანამედროვე ლინგვისტური სტრუქტურალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წინამორბედაა. ის ძირითადი პრობლემები, რაც დამახასიათებელია ლინგვისტური სტრუქტურ-ლინგვისტური კვლევისათვის /კერძოდ, მეტყველებისა და ენის დაპირისპირება, ენის სტრუქტურის მთლიანი ხასიათი და სხვ./ უკვე ჰუმბოლდტის ენის თეორიის ყურადღების ცენტრშია.

მე-20 საუკუნის 30-50-იან წლებში სტრუქტურალისტები /ვიგო ბრიონდალი, სპანგ ჰანსენი, ლუი იელმსლევე/ სტრუქტურის მთლიანობის ცნებას ენათმეცნიერებაში გემტალტ ფსიქოლოგიიდან შემოტანილად თვლის. გემტალტფსიქოლოგიის ანუ სტრუქტურული ფსიქოლოგიის /Gestaltpsychologie/ მე-20 საუკუნის დასაწყისში ძირითადი დებულება შემდგომში მდგომარეობს: “აღქმაში მოცემულია მთელი /მთლიანობა/ და არა მისი ნაწილები. ეს მთელი არ წარმოადგენს ნაწილთა /შეგრძნებების/ უბრალო ჯამს, არამედ იგი არის რაღაც პირველადი და უშუალოდ მოცემული: ე.ი. მთავარია საგნის ფორმის აღქმა /პირველადია/.

ჩვენი აზრით, ენის სტრუქტურის მთლიანობის ცნება პირველად ჰუმბოლდტმა განსაზღვრა თავის ლინგვისტურ სისტემაში /კანტზე დაყრდნობით/: ერთის მხრივ, ენის ფორმა დამოკიდებულია მისი უმცირესი ელემენტებისაგან, მეორეს მხრივ, თითოეული ამ ელემენტთაგანი ამა თუ იმ სახით განისაზღვრება მთლიანად ენით. ეს არის კლასიკურად გამოკვეთილი ენის სტრუქტურის /ანუ *Gestalt* ის/ ცნება.

/ die Gestalt – აგებულება, წყობა, სტრუქტურა/

9.6. ჰუმბოლდტის თეორია ენის ფორმის შესახებ

დიდ ინტერესს იწვევს ჰუმბოლდტის თეორია ენის ფორმის შესახებ. ჰუმბოლდტის აზრით, ენათა განსხვავებულობის საფუძველს მათი ფორმა წარმოადგენს. გენეტიკურად ანუ წარმოშობის მიხედვით, ფორმა და მატერია ერთიანობაში არიან /ბგერა/ და მათი განცალკევება მხოლოდ მეცნიერული ანალიზის შედეგად არის შესაძლებელი. მატერიას ჰუმბოლდტი განიხილავს, როგორც ენის გარეთ არსებულ ფენომენს. იგი წერს: “ენის ნამდვილი მატერია, ერთის მხრივ, ბგერაა საერთოდ /ანუ თავისთავად აღებული ბგერა, მისი ჟღერადობა/, მეორეს მხრივ კი, იმ გრძნობათა და შტაბეჭდილებათა ერთობლიობა, რომლებიც წინ უსწრებენ ენობრივ წარმონაქმნს.”

ჰუმბოლდტი ფორმის პრიორიტეტს აღიარებს მატერიასთან შედარებით. ჰუმბოლდტი ამბობს: “აბსოლუტური აზრით, ენაში არ შეიძლება არსებობდეს მატერია ფორმის გარეშე, რადგან მასში /ანუ ენაში/ ყოველივე მიმართულია განსაზღვრული ამოცანის შესასრულებლად”, სახელდობრ აზრის გამოსახატავად. ეს თავისებური ქმედება ან შემოქმედება /იგულისხმება გა-ფორმება, ანუ ფორმის მიცემა ბგერითი მატერიისთვის/ იწყება მისი პირველადი ელემენტებიდან- არტიკულირებული /დანაწევრებული/ ბგერიდან, რომელიც დანაწევრებული ხდება მხოლოდ ფორმირების პროცესის შედეგად.

ამრიგად, ჰუმბოლდტისთვის ენის კვლევის დროს ამოსავალია მისი ფორმა, ხოლო ენის შესწავლა მისი ფორმის შემცენებას გულისხმობს უპირველეს ყოვლისა. ჰუმბოლდტი ამბობს: “ენის ფორმის ცოდნა მკვლევარებს უხსნის გზას ენის საიდუმლოებათა შემცენებისაკენ და ხელს უწყობს მისი ბუნების კვლევას.”

ჰუმბოლდტი ანსხვავებს ენის გარე ფორმას ანუ ბგერით ფორმას და შინა ფორმას, რომელსაც იგი ხშირად “ენის ფორმას” ან უბრალოდ “ფორმას” უწოდებს.

ენათა გარეგანი განსხვავებულობა, ჰუმბოლდტის აზრით, ვლინდება იმაში, რომ სხვადასხვა ენას გააჩნია სხვადასხვა ბგერითი ფორმა. ბგერითი ფორმა არის ენის მიერ შექმნილი აზროვნების გამოხატვის საშუალება. ჰუმბოლდტი ამბობს: “ენის /გარე/ ფორმა არის შენობა, რომელშიც ენა /როგორც შინა ფორმა/ თავის თავს აშენებს.” მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია ამ საშუალების, ანუ გარე ფორმის გამოყენების თავისებურებები საგნების აღსანიშნავად და აზრების გადმოსაცემად. სწორედ ეს არის ენის შინაგანი ბუნება, რომელიც უფრო მნიშვნელოვანიც კია ჰუმბოლდტის აზრით, ვიდრე გარე ფორმა: “საკუთრივ ენა მეტყველებისგან განსხვავებით არის არა გარეგანი გარსი, არამედ იმ ხერხების ერთობლიობა, მექანიზმი ანუ ინტელექტუალური მოდელი /ანუ საკუთრივ შინა ფორმა/, რომლის მეშვეობითაც არაენობრივი ხასიათის შინაარსები გადმოიცემა გარეგანი, ბგერითი საშუალებებით”. ე.ი. შინა ფორმა არის არა უბრალოდ აზრის გამოხატვის საშუალება, არამედ ის ხერხი, რომლითაც ენაში აზროვნების კატეგორიების ობიექტივაცია /რეალიზაცია/ ხდება. ეს არის ენის შინაგანი არსი ანუ ის, რასაც ჰუმბოლდტი საკუთრივ /შინა/ ფორმას უწოდებს.

შინა ფორმით განსხვავდება ერთი ენა მეორისაგან. ჰუმბოლდტი ენებს მათი შინა ფორმების მიხედვით ადამიანის ფიზიონომიებს ადარებს.

1. სიტყვის შინა ფორმაში აისახება ბგერითი ფორმისა და ცნების კავშირის ის თავისებურება, რომელიც სპეციფიკურია ყოველი ცალკეული ენისთვის. მართალია ცნება წინ უსწრებს სიტყვას, მაგრამ სიტყვა აფიქსირებს, ამყარებს ცნებას. სიტყვამ კი, როგორც ცნების ნიშანმა შეიძლება იარსებოს მხოლოდ ბგერის ფორმაში. ამრიგად, ბგერითი ფორმა ანუ გარეგანი გარსი არის საშუალება, რომელსაც ენა ქმნის აზროვნებისთვის, ხოლო შინა ფორმა არის ცნების ბგერითი გამოხატვის ხერხი. შინა ფორმა მიუთითებს იმაზე, თუ როგორი ხერხით გამოიყენება ბგერითი ფორმა /როგორც საშუალება/ აზრის გამოსახატავად.

2. ენის შინა ფორმა აფიქსირებს ნაციონალური მსოფლხედვის თავისებურებებს. ჰუმბოლდტის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის წმინდა ინდივიდუალური ხერხი, რომლის მეშვეობითაც ხალხი ენაში და ენით გამოხატავს თავის აზრებსა და გრძნობებს. ამიტომაც არის ბგერითი ფორმა აზრის გამოხატვის საშუალება, ხოლო შინა ფორმა არის ამ საშუალების გამოყენების ხერხი, რომელიც სპეციფიკურია, ინდივიდუალურია ყველა ენაში.

3. სიტყვის გარე ფორმა გულისხმობს ბგერით გა-ფორმებას /ანუ ფორმის მიცემას/, რომელშიც შედის სიტყვის არა მხოლოდ ბგერითი /არტიკულაციის დონე/, არამედ აგრეთვე გრამატიკული გაფორმებაც. ამრიგად, სიტყვის გარე ფორმის ცნება მოიცავს სიტყვის მნიშვნელობასა და მორფოლოგიურ სტრუქტურას, ხოლო შინა ფორმის ქვეშ იგულისხმება ცნებისა და ბგერის შეერთების ხერხი, აზრისა და ენობრივი მატერიის დაკავშირების წესი.

4. ენის შინა ფორმა არის წმინდა აბსტრაქტული მოდელი /ანუ სისტემა/. ჰუმბოლდტის სიტყვებით, შინა ფორმა არის “ერის ცნობიერებისა და მეტყველების დამაკავშირებელი რგოლი.”

საინტერესოა, რომ ჰუმბოლდტი ყველა საშუალებათა ჯამს, რომლებსაც ენა კომუნიკაციის მიზნების შესასრულებლად გამოიყენებს /ანუ აზრების გამოსახატავად და ადამიანთა შორის ურთიერთგაგებინების მიზნით/ ტექნიკას უწოდებს, რომელსაც იგი ფონეტიკურსა და ინტელექტუალურ ტექნიკებად ჰყოფს.

ფონეტიკური ტექნიკა – სიტყვათა და ფორმათწარმოქმნა ბგერითი საშუალებებით /ე.ი. სიტყვის გარე ფორმას შეესაბამება/.

ინტელექტუალური ტექნიკა -- ყოველივე იმის გამოხატვა, რაც ენაში უნდა იქნას აღნიშნული და გამოხატული ბგერებით. მაგალითად, განსხვავება სქესის მიხედვით

/თუკი ენაში არსებობს ასეთი განსხვავება/ ე.ი. სქესის კატეგორია, განსხვავება რიცხვის მიხედვით, ზმნური დროების ფორმები და ა.შ.

შევაჯამოთ ზემოთ ნათქვამი:

I ჰუმბოლდტი ამტკიცებს ენის შინა ფორმის არსებობის ფაქტს ენის გარე ფორმისგან განსხვავებით.

II გარე ფორმის ქვეშ იგი გულისხმობს სამი მომენტის:

ა) ბგერითი გა-ფორმების, ანუ ფორმის მიცემის /დანაწევრების, არტიკულაციების/

ბ) მორფოლოგიური სტრუქტურის

გ) მნიშვნელობის

ერთობლიობას.

III შინა ფორმის ქვეშ ჰუმბოლდტი გულისხმობს აგრეთვე სამ მომენტს:

ა) შინა ფორმა არის ბგერის ცნებასთან შეერთების ხერხი – ბგერისა და ცნების კავშირის თავისებურება, აზრის ობიექტივაციის ინდივიდუალური გზა.

ბ) შინა ფორმა არის ხალხის ნაციონალური მსოფლხედვის, მისი გონის /გეისტ-ის/ ფიქსირება ენაში ე.ი. ერის ცნობიერებისა და ენის /მეტყველების/ დამაკავშირებელი რგოლი.

გ) ენის შინა ფორმა არის მისი /ენის/ ორგანიზაცია, აბსტრაქტული სტრუქტურა ანუ სისტემა იმისა, რაც საზოგადოდ მეტყველების (ენერგეია) მიერ არის შექმნილი და დამუშავებული.

მკვეთრად იხატება პარალელი:

ენა ← მეტყველება

შინა ფორმა გარე ფორმა

ერგონ ენერგეია

Wilhelm von Humboldt

* * *

Der Mensch geht zwar über seine Sprache hinaus; er ist mehr, als er in Worten auszusprechen vermag; aber er muß den flüchtigen Geist in Worte fassen, um ihn zu heften, und die Worte als Stützen gebrauchen, um über sie selbst noch hinauszureichen. Mehrere Sprachen sind nicht ebensoviele Bezeichnungen einer Sache;

* * *

Durch die Mannigfaltigkeit der Sprachen wächst unmittelbar für uns der Reichtum der Welt und die Mannigfaltigkeit dessen, was wir in ihr erkennen; es erweitert sich zugleich dadurch für uns der Umfang des Menschendaseins, und neue Arten zu denken und empfinden stehen in bestimmten und wirklichen Charakteren vor uns da.

* * *

Das Studium der Sprachen des Erdbodens ist also die Weltgeschichte der Gedanken und Empfindungen der Menschheit. Sie schildert den Menschen unter allen Zonen, und in allen Stufen seiner Kultur; in ihr darf nichts fehlen, weil alles, was den Menschen betrifft, den Menschen gleich nahe angeht.

* * *

Die Sprache ist kein freies Erzeugnis des einzelnen Menschen, sondern gehört immer der ganzen Nation an; auch in dieser empfangen die späteren Generationen dieselbe von früher dagewesenen Geschlechtern.

* * *

Ihre Verschiedenheit ist nicht eine von Schällen und Zeichen, sondern eine Verschiedenheit der Weltansichten selbst.

* * *

In jeder Sprache liegt eine eigentümliche Weltansicht. Wie der einzelne Laut zwischen den Gegenstand und den Menschen, so tritt die ganze Sprache zwischen ihn und die innerlich und äußerlich auf ihn einwirkende Natur. Er umgibt sich mit einer Welt von Lauten, um die Welt von Gegenständen in sich aufzunehmen und zu bearbeiten. Diese Ausdrücke überschreiten auf keine Weise das Maß der einfachen Wahrheit. Der Mensch lebt mit den Gegenständen hauptsächlich, ja, da Empfinden und Handeln in ihm von seinen Vorstellungen abhängen, sogar ausschließlich so, wie die Sprache sie ihm zuführt. Durch denselben Akt, vermöge dessen er die Sprache aus sich herauspinnt, spinnt er sich in dieselbe ein, und jede zieht um das Volk, welchem sie angehört, einen Kreis, aus dem es nur insofern hinauszuweichen möglich ist, als man zugleich in den Kreis einer anderen hinübertritt.

* * *

Die Sprache ist gleichsam die äußerliche Erscheinung des Geistes der Völker; ihre Sprache ist ihr Geist und ihr Geist ihre Sprache, man kann sich beide nie identisch genug denken. Wie sie in Wahrheit mit einander in einer und ebenderselben unserem Begreifen unzugänglichen Quelle zusammenkommen, bleibt uns unerklärlich verborgen.

* * *

Die Sprache, in ihrem wirklichen Wesen aufgefaßt, ist etwas beständig und in jedem Augenblicke Vorübergehendes. Selbst ihre Erhaltung durch die Schrift ist immer nur eine unvollständige, mumienartige Aufbewahrung, die es doch erst wieder bedarf, daß man dabei den lebendigen Vortrag zu versinnlichen sucht. Sie selbst ist kein Werk (Ergon), sondern eine Tätigkeit (Energeia). Ihre wahre Definition kann daher nur eine genetische sein. Sie ist nämlich die sich ewig wiederholende Arbeit des Geistes, den artikulierten Laut zum Ausdruck des Gedanken fähig zu machen.

* * *

Die wahre Heimat ist eigentlich die Sprache. Sie bestimmt die Sehensucht danach, und die Entfremdung vom Heimischen geht immer durch die Sprache am schnellsten und leichtesten, wenn auch am leisesten vor sich.